27-ე განყოფილება
აქტივების გაუფასურება

განსახილველი საკითხები

- მარაგების გაუფასურება
- სააღრიცხვო ერთეული გაუფასურების ტესტირებისთვის
- გაუფასურების კომპენსირება
- სრულ ფასს-თან შედარება

მარაგების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის უნდა შეფასდეს გაუფასურდა თუ არა მარაგი, თითოეული სახის მარაგის საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით.

თუ საბ. ღირ. > გასაყიდი ფასი მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები

საბ. ღირ. უნდა შემცირდეს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე.

ეს შემცირება არის გაუფასურების ზარალი.

გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგებაში ან ზარალში.

მაგალითი – მარაგების გაუფასურება

მაგ 1. 31/12/2018:

- ნედლეულისა და მასალების საბალანსო ღირებულება (თვითღირებულება) = 100 ფე
- ჩანაცვლების ღირებულება = 80 ფე
- მზა პროდუქციის შეფასებითი გასაყიდი ფასი = 200 ფე
- ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის ღირებულება = 60 ფე
- მზა პროდუქციის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები = 30 ფე

აღიარებს თუ არა საწარმო გაუფასურების ზარალს?

არ აღიარებს, საბ ღირ 100 ფე **<** 110 ფე (200-60-30)

მაგალითი – მარაგების გაუფასურება

მაგ 2. ყველაფერი იგივეა, რაც 1-ელ მაგალითში, გარდა მზა პროდუქციის შეფასებითი გასაყიდი ფასისა = 180 ფე-ს.

აღიარებს თუ არა საწარმო გაუფასურების ზარალს?

აღიარებს, საბ ღირ 100 ფე > 90 ფე (180-60-30)

დ)	მარაგების გაუფასურების ზარალი	10
კ)	მარაგები	10

საალრიცხვო ერთეული გაუფასურების ტესტირებისთვის

გაუფასურებაზე ფასდება მარაგის ცალკეული ერთეულები ინდივიდუალურად.

მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ საწარმოსთვის შეუძლებელია მარაგის ცალკეული ერთეულებისთვის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის განსაზღვრა, გაუფასურების დადგენის მიზნებისთვის, საწარმოს უფლება აქვს, დააჯგუფოს მარაგები იმ პირობით, რომ ჯგუფში შემავალი მარაგები:

- ✓ მიეკუთვნებიან პროდუქციის ერთსა და იმავე ასორტიმენტს და მსგავსი დანიშნულება ან/და გამოყენება აქვთ, და
- ✓ იწარმოება და იყიდება ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ზონაში

ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულება **შეუძლებელია,** თუ საწარმოს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება ყველა მართლზომიერი მცდელობის მიუხედავად.

მაგალითი – საარღრიცხვო ერთეული გაუფასურების ტესტირებისთვის

მაგ 3. საწარმოს აქვს 3 სახის მარაგი (მზა პროდუქცია), რომლებიც აკმაყოფილებენ გაუფასურებაზე ჯგუფურად ტესტირების კრიტერიუმებს.

- ✓ საბალანსო ღირებულება (თვითღირებულება) 90 ფე + 100 ფე + 130 ფე= 320 ფე
- ✓ 3 სახის მარაგის შეფასებითი გასაყიდი ფასი შემცირებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით = 330 ფე

აღიარებს თუ არა საწარმო გაუფასურების ზარალს?

არ აღიარებს, საბ ღირ 320 ფე < 330 ფე

მაგალითი – საარღრიცხვო ერთეული გაუფასურების ტესტირებისთვის

მაგ. 4. ყველაფერი იგივეა, რაც მე-3 მაგალითში გარდა იმისა, რომ მე-4 მაგალითში:

- ცალკეული სახის მარაგები ვერ აკმაყოფილებენ გაუფასურებაზე ჯგუფურად ტესტის ჩატარების კრიტერიუმებს, და
- შეფასებითი პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი = 110ფე თითოეულისთვის.

აღიარებს თუ არა საწარმო გაუფასურების ზარალს?

მარაგის სახე	1	2	3
საბალანსო ღირებულება	90	100	130
გასაყიდი ფასი - გაყიდვის დანახარჯები	110	110	110
გაუფასურების ზარალი	-	-	20

გაუფასურების კომპენსირება

გაუფასურება კომპენსირდება, როდესაც:

- აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები; ან
- შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზარდა

კომპენსირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე

მაგ.: საბ. ღირ. არ შეიძლება > თვითღირებულებაზე

მაგალითი – გაუფასურების კომპენსირება

მაგ 5. **31/12/2017-ში** ეკონომიკური ვითარების გაუარესების გამო საწარმომ ცალკეულ მარაგზე აღიარა 30 ფე-ის გაუფასურების ზარალი (ე.ი. თვითღრებულება = 100 ფე და პროდ. დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი = 70 ფე).

31/12/2018-ში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების გამო პროდ. დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი ამ მარგისთვის არის 120 ფე.

2017 წელს გაუფასურებული მარაგისთვის რა თანხის კომპენსირება შეუძლია საწარმოს 2018 წელს?

30 ფე, არ შეიძლება გაიზარდოს თვითღირებულებაზე მეტად.

შედარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მარაგების გაუფასურება:
  - ✓ მსს ფასს-ით განხილულია 27-ე განყოფილებაში, სხვა აქტივებთან ერთად;
  - ✓ სრული ფასს-ით განხილულია ბასს 2-ში „სასაქონლო მატერიალური ფასეულობები“.
- ტერმინების დონეზე:
  - ✓ მსს ფასს - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი;
  - ✓ სრული ფასს - ნეტო სარეალიზაციო ღირებულება.